პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 244 (7775)
10 ნოემბერი, შაბათი
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მონაგარი

როცა კარგ საქმეს ბოლოთქმა სჭირდება

ოქტომბერმა ქართულ სპორტს რამდენიმე საგულისხმო გამარჯვება მოუტანა. ყოველი მათგანი ჩვენთვის მართლაც ბაჯაღლო ოქროა, მაგრამ მათ შორის თვალი პატიოსანივით ელავს აწ უკვე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ჩვენი საჭადრაკო დედოფლის მაია ჩიბურდანიძის დიდებული მიღწევა.

ჭადრაკი

მოდით, ამჯერად ტრადიციას ვუღალატოთ და „საათის ისარი“ წარსულისკენ მივმართოთ, დავძებნოთ მაია ჩიბურდანიძის ამჟამინდელი განსაცვიფრებელი წარმატების მიზეზნი... მისი პირველი მწვრთნელის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გ. ქანთარიას აზრით მაია ჩიბურდანიძე ყველა თვალსაზრისით ვუნდერკინდი გახლდათ. აკი „ნედელიას“ საჭადრაკო მიმომხილველთან საუბარში თქვა კიდეც: „რაგინდ რთული პოზიციაც უნდა შექმნილიყო დაფაზე, პატარა გოგონა ელვის უსწრაფესად მოარგებდა გასაღებს და სწორად ამოხსნიდა. არა, ის ნამდვილად ვუნდერკინდი იყო ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით“. მაიას პირველ აღმზრდელს მხოლოდ მადლობა შეგვიძლია მოვახსენოთ იმ ღვაწლისთვის, რომელიც მან უნიჭიერესი მოჭადრაკის აღზრდის საქმეს დასდო. რაც შეეხება თავად მაიას, მისი პირველივე ნაბიჯები ჭადრაკში ყველას აოცებდა. ჩვენ ბევრი რამ წავიკითხეთ და მოვისმინეთ ამ დღეებში მაიას შესახებ. დიახ, საინტერესოა ის, რას წერენ სხვები ჩვენს საამაყო ჩემპიონზე. ასე მაგალითად, „ნედელია“ მოკლე, მაგრამ უაღრესად გულთბილ წერილს უძღვნის მას. ავტორი ერთ საგულისხმო შტრიხს მატებს ჩემპიონის სპორტულ პორტრეტს: მაიას ეპითეტი „პირველი“ ბავშვობიდანვე დაებედა; იგი 17 წლის ასაკში გახდა მსოფლიო ჩემპიონი, რაც, არც მანამდე და არც მას შემდეგ, არ ახსოვს ჭადრაკის ისტორიას, და აი, 23 წლისამ მან მესამედ მოიპოვა უმაღლესი საჭადრაკო ტიტული, რაც ასევე არნახული მიღწევაა. რა შეიძლება ითქვას იმაზე მეტი, რაც უკვე წავიკითხეთ და გავიგეთ ვოლგოგრადის მატჩის ტრიუმფატორზე? ალბათ, ის, რომ დღესდღეობით მაია ჩიბურდანიძის სახელი ქართული საჭადრაკო სკოლისა და საერთოდ, ჩვენი ეროვნული სპორტის თავისებურ სიმბოლოდ იქცა. მაიას სახით ჩვენ გვყავს არა მარტო ექსტრა-კლასის მოჭადრაკე, არამედ ღირსეული მოქალაქე და მამულიშვილი.

მაიას კვალდაკვალ დიდი სიხარული მოგვიტანა ნიჭიერი ქართველი მოსწავლის, 16 წლის ქეთევან არახამიას წარმატებამ კიევში გამართულ ქალთა საკავშირო ჩემპიონატში. იგი მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა I-II ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს. სატურნირო მდგომარეობა ბოლო ტურის წინ ისეთი იყო, რომ არახამიას შეეძლო ჩემპიონობისთვის ებრძოლა, მაგრამ მიღწეულიც უთუოდ დიდად საგულისხმო და იმედისმომცემია. არც ერთ საქმეში, მით უფრო, სპორტში, სულსწრაფობა კარგს არაფერს მოგვიტანს, მაგრამ ახლა თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ქეთევან არახამია მომავალში კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს.

ფეხბურთი

ალბათ, ის, რაც ქუთაისის „ტორპედომ“ უმაღლეს ლიგაში გადასვლით ჩვენი ფეხბურთის საკეთილდღეოდ გააკეთა, მთელი სისრულით მომავალში უფრო კარგად გამოჩნდება. სწორედ ამ კუთხიდან უნდა შევხედოთ ქუთაისელთა წარმატებას. უმწეოა აზრი, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბოგინობს აქა-იქ: თითქოს ქუთაისელთა გადასვლა უმაღლეს ლიგაში არ შეიძლება იყოს სასარგებლო (!) ეროვნული ფეხბურთის ინტერესებისთვის. შეიძლებოდა ამ მოსაზრებისთვის ანგარიშიც არ გაგვეწია და გაზეთის ფურცლებზე არ გამოგვეტანა, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას, სჯობს ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და, ბოლოს და ბოლოს, ეს საჭოჭმანო საკითხიც ერთხელ და სამუდამოდ გადავაბაროთ საფეხბურთო არქივს. ჩვენი ფეხბურთის, და არა მარტო ფეხბურთის, ისტორიას ხომ ბევრი ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი მოუცია ჩვენთვის, რამდენჯერ დავრწმუნებულვართ რამდენად საზიანო და დამღუპველი შეიძლება გამოდგეს ამგვარი „თეორია“. და მაინც, რას ეყრდნობა იმათი არგუმენტი, ვისი აზრითაც პატარა რესპუბლიკას უმაღლეს ლიგაში ორი გუნდის მოვლა-პატრონობის თავი არა აქვს? არაფერს ან თითქმის არაფერს... ჩვენ ოპონენტების აზრს არც ვამუქებთ და არც ვამახინჯებთ. არ არის საჭირო ორი გუნდი და მორჩაო, ჯიუტად გაიძახიან ისინი. ის კი ავიწყდებათ, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ დაბალ ლიგაში გადასვლას არც თბილისის „დინამოსთვის“ დაუყრია ხეირი და არც საერთოდ ჩვენი ფეხბურთისთვის. ავიწყდებათ ისიც, რომ, როცა ქუთაისელებს ვეუბნებით, უმაღლეს ლიგაში თქვენი ყოფნა მიზანშეწონილი არ არისო, ამით მომავლის იმედს ვუკარგავთ და ზრდა-დაოსტატებისა და წინსვლის ყოველგვარ სტიმულსაც ვუსპობთ მას... ამისი უფლება კი არავის არა გვაქვს. ასე რომ, ნუ ვვიწყენენ ოპონენტები, რომელთა შორის საკმაოდ ჭკუადამჯდარი, სერიოზული სპეციალისტებიც კი არიან, ასეთ უკმეხ ტონს. ჩვენ პატივს ვცემთ მათ, მაგრამ კიდევ უფრო პატივს ვცემთ ქართულ ფეხბურთსა და მის მომავალს.

მართლაც, ბარაქალა, ქუთაისელებს! მათ იცოდნენ, ასეთი აზრი რომ არსებობდა და ხელები მაინც არ დაუშვიათ, ბოლომდე მონდომებით, დიდი პასუხისმგებლობით ისწრაფოდნენ უმაღლესი ლიგისკენ ისე, რომ ჩვენი ფეხბურთის უპირველესი ფლაგმანისთვის არა თუ რაიმე ზიანი მიუყენებიათ, არამედ სწორედ იმ თავდაუზოგავი სწრაფვისა და ბრძოლის პროცესში თავის ყველაზე საუკეთესო მოთამაშეებსაც კი აძლევდნენ მას. დროა დავუკვირდეთ რას ვამბობთ, თორემ აბა შეიძლება იქით ვედავებოდეთ გუნდს, რომელიც წელებზე ფეხს იდგამს, თავად უჭირს და მაინც (ასეც უნდა იყოს) თავის უფროს ძმას აძლევს ყველაფერს, რაც კი მას დასჭირდება? შეიძლება იქით ვუსაყვედუროთ, პირველ ლიგაში რატომ არ წაიფორხილე და უმაღლეს ლიგაში რა გინდოდაო? უნდა ითქვას, ვერაფერი ლოგიკაა. ვინ ექცევა ასე თავის სისხლსა და ხორცს? არავინ. კიდევ კარგი, რომ ქუთაისის „ტორპედომ“ და მისმა ხელმძღვანელობამ ყური არათხოვა ამ თვითმარქვია კეთილისმყოფელთა მოწოდებას და სურვილს პირველ ლიგაში მათი დარჩენით მოტანილი „სარგებლობის“ შესახებ; პირიქით: აგერ უკვე მესამედ მობრუნდნენ უმაღლეს

(დასასრული მე-2 გვ.).

ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილე საბჭოთა კავშირის ოთხივე წარმომადგენელმა წარმატებით დაძლია მეორე ზღუდე. 7 ნოემბერს გამართულ მატჩებში დასახულ ამოცანას ჩინებულად გაართვეს თავი დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ (ჩემპიონთა თასი), მოსკოვის „დინამომ“ (თასების თასი), მოსკოვის „სპარტაკმა“ და მინსკის „დინამომ“ (უეფა-ს თასი).

ჩემპიონთა თასისა და თასების თასის გათამაშებები გაისად, გაზაფხულზე განახლდება, უეფა-ს თასისთვის მოასპარეზე გუნდებს კი წლეულსვე, ნოემბრის მიწურულსა და დეკემბრის დამდეგს მოუწევთ მეოთხედფინალისტების გამოვლენა.

სამივე ტურნირის მეორე წრის მატჩების ანგარიშებს, ყველაზე საინტერესო შეხვედრების მიმოხილვასა და გუშინ გამართული კენჭისყრის შედეგებს გთავაზობთ მე-8 გვერდზე.



საქართველოს მსროლელთა რიგებს ნიჭიერი ოსტატი შეემატა — გოჩა სარუხანოვი, რომელმაც ამას წინათ შესანიშნავად იასპარეზა სოხუმში.

(ინტერვიუს სარუხანოვთან „მინდა ჩემი წვლილიც იყოს“ გთავაზობთ მე-4 გვ.).

რევაზ ჩელებაძე, ოთარ კორღალიძე, მერაბ მეგრელაძე...

I **ლიგის** ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების საუკეთესო ბომბარდირები არიან საქართველოს გუნდების ფეხბურთელები. ბათუმის დინამოელმა რევაზ ჩელებაძემ 28 ბურთი გაიტანა, ხოლო ქუთაისის ტორპედოელმა ოთარ კორღალიძემ — 24.

ლიგის ყველაზე შედეგიან მოთამაშეთა შორის არის, აგრეთვე, ქუთაისის ტორპედოელი მერაბ მეგრელაძე — 17 ბურთი.

სურათზე: I ლიგის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი რევაზ ჩელებაძე („დინამო“, ბათუმი).

ჭადრაკი

მსოფლიო პირველობისათვის გამართულ მატჩში პირველი 24 პარტიის განმავლობაში სამი ნებადართული ტაიმ-აუტიდან 9 ნოემბერს უკანასკნელით ისარგებლა გარი კასპაროვმა. ამრიგად, მომდევნო პარტია გაიმართება 12 ნოემბერს.

მატჩში ლიდერობს ანატოლი კარპოვი — 4:0.

კალათბურთი

მოსკოვის ცსკა-ს კალათბურთელებმა საფრანგეთის ქალაქ ლიმოჟში ანგარიშით 81:69 დაამარცხეს ადგილობრივი გუნდი „ლიმოჟი“ და გავიდნენ ფინალურ ჯგუფში, სადაც ექვსი უძლიერესი გუნდი წრიული სისტემით ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩშიც საბჭოთა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს — 101:93.

ინფორმაცია

ლიმოჟში გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ ტკაჩენკო (18 ქულა), ენდენი (16) და პანკრაშკინი (15), ხოლო მასპინძელთაგან თავი გამოიჩინა მერფიმ, რომელმაც თავის გუნდს 33 ქულა შესძინა.

• • •

კიევი. ადგილობრივმა „სტროიტელმა“ კორაჩის თასის გათამაშების განმეორებით შეხვედრაში დაამარცხა ბულგარეთის „აკადემიკის“ კალათბურთელები — 108:93 (62:41). ბრძოლა წარიმართა უკრაინელ სპორტსმენთა სრული უპირატესობით. იყო მომენტი, როცა მათ ანგარიში 30 ქულითაც კი მოჰყავდათ. მაგრამ შეხვედრის მიწურულს ბულგარელებმა ერთგვარად გამოასწორეს მდგომარეობა. გამარჯვებულთაგან ზუსტი სროლებით თავი ალექსანდრე ბელოსტენიმ გამოიჩინა — 20 ქულა. ორი შეხვედრის ჯამით („სტროიტელმა“ პირველი მატჩიც მოიგო) კიეველმა კალათბურთელებმა თასის შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს.

მძლეოსნობა

მოსკოვი. დედაქალაქის სპორტსმენები სეზონს ტრადიციულად მძლეოსნური ესტაფეტით ამთავრებენ გაზეთ „მოსკოვსკაია პრავდას“ პრიზზე. წლევანდელი შეჯიბრების ტრასა (5300 მეტრი) თხუთმეტ ეტაპად იყო დაყოფილი. გამარჯვება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში მოიპოვეს: „სპარტაკის“ ჭაბუკებმა, ცსკა-ს იუნიორებმა, ბრეჟნევის რაიონის პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდმა, ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტებმა და „დინამოს“ ახალგაზრდულმა ნაკრებმა.

ჩოგბურთი

ციურიხში გაიმართა „გრან პრის“ პროგრამით გათვალისწინებული ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ნახევარფინალურ შეხვედრებში ზინა გერისონმა (აშშ) საკმაოდ იოლად მოუგო ანდრეა ტემეშვარის (უნგრეთი) — 6:2, 6:0, ხოლო კლაუდია კოდერმა (გფრ) დაძაბულ ბრძოლაში სძლია მანუელა მალეევას (ბულგარეთი) — 6:1, 0:6, 6:2. ასევე დაძაბული გამოდგა გერისონისა და კოდერის ფინალური შეხვედრა. ანგარიშით 2:6, 6:2, 7:5 გაიმარჯვა ამერიკელმა სპორტსმენმა.

აწმყო, შობილი წარსულისაგან

„ქუთაისელი მიხო, ძველი ფეხბურთელი..."

ამ დღეებში ცნობილ ქართველ ფეხბურთელს, თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდის 40-იანი წლების მოთამაშეს, მცველსა და ნახევარმცველს გიორგი (მიხო) ჭელიძეს 70 წელი შეუსრულდა. ამ ღვაწლმოსილ ოსტატს დინამოელთა ძველი პლეადის წარმომადგენლებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის „დინამოსა" და საერთოდ ქართული ფეხბურთის განვითარების, მისი დიდ საფეხბურთო სარბიელზე გასვლის საქმეში. ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებთ ტყავის ბურთის ვეტერანს.

ალბათ ბევრს გახსოვთ ეს სიმღერა, ორმოციან წლებში ასე პოპულარული რომ იყო საქართველოში.

ამას ძველ, როგორც იტყვიან, სტაჟიან გულშემატკივრებს ვეუბნებით, თორემ ახალგაზრდა ფეხბურთის მოყვარულებს ჯერ უნდა აუხსნა, ვინ იყო „მიხო, ძველი ფეხბურთელი".

მაშ ასე:

„ქუთაისელი მიხო, ძველი ფეხბურთელი.
პაიჭაძემ წაიყვანა, როგორც კარგი დამცველი.
მიხო მიიღეს გუნდში, აღარ აქვს სხვა დარდიო,
დედას დეპეშას უგზავნის — „სასტავში" ჩავვარდიო,
ნუ გეშინიათ...
ყველა დეპეშას ეცა, ბალისკიდე, ბალახვანია,
მიხოია ჭელიძე „პოეზდს" ჩაუტანიაო,
ვაი მის უბედურ დედას!"

მაყურებლით გაჭედილ დარბაზს (დღეს რომ ბევრი საუკეთესო კოლექტივი თუ ხელოვანი ინატრებს) ტაშის გრიალისაგან პირდაპირ ჭერი ეხდებოდა. ჯანო ბაგრატიონის შესანიშნავი ჯაზის სოლისტი ნოდარ ფაილოძე (იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლთანაც გამოდიოდა) მართლაც ბრწყინვალედ ასრულებდა ბანჯოს თანხლებით პოპულარულ სიმღერებს კინოფილმ „ჯორჯი ჯინკი ჯაზიდან". ესაა, რომ ტექსტი ჰქონდა სულ სხვა — „მისტერ ვუ", „ქუთაისელი მიხო"...

მიწყდებოდა უკანასკნელი აკორდი და მომღერალი სცენის სიღრმისაკენ წავიდოდა ნელი ნაბიჯით — ზურგზე ცარცით ეწერა უზარმაზარი ციფრი „6" — მიხოს ნომერი. ამ სიმღერას ნოდარ ფაილოძეს ორ-სამჯერ მაინც ასრულებინებდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მიხოია ჭელიძემ" მთელი საქართველო შემოიარა და გულგრილი არავინ დაუტოვებია. მაშინ არც „ფეხბურთის მარში" იყო, არც „ფუტბოლნაია პესენკა" და არც „დინამო, დინამო..." ფეხბურთზე თავდავიწყებით შეყვარებულებს ეს ერთადერთი სიმღერა განუმეორებლად გვეჩვენებოდა.

სანამ უშუალოდ ჭელიძე-ფეხბურთელზე ვიტყოდეთ რამეს, გვინდა ერთი „საიდუმლო" გაგიმხილოთ: ეს არის ალბათ უიშვიათესი შემთხვევა, როდესაც ავტორი ნარკვევს მის გმირთან საუბრის გარეშე წერს. ღვაწლმოსილ ვეტერანთან არათუ არ გვისაუბრია, არამედ საერთოდ არ ვიცნობთ ახლოს.

სამაგიეროდ, როდესაც წერილის დაწერა გადავწყვიტეთ, დინამოელთა ძველი თაობის მთელ „გუნდს" შევხვდით და ვესაუბრეთ. ბევრი რამ მოიგონეს, ერთიმეორის ნათქვამი შეავსეს, ჩვენც ისღა დაგვრჩენოდა, რომ თავი მოგვეყარა მათი ნაამბობისათვის.

— მიხო, ჩვენი მიხო... ასე ვეძახდით წლების მანძილზე და, წარმოიდგინეთ, მხოლოდ შარშან გავიგეთ, რომ თურმე გიორგი ჰქვია. მიხეილი მამამისის სახელია, — არ ვიცი ხუმრობით თუ სერიოზულად გვითხრა ამას წინათ ქართული ფეხბურთის მშვენებამ **ბორის პაიჭაძემ**. — ჭელიძე „დინამოში" 1937 წელს მოვიდა თბილისის მეორე გუნდიდან — „ლოკომოტივიდან". ჯერ სათადარიგო შემადგენლობაში დააყენეს, მერე — ძირითადში. სწორედ მაშინ იყო მიხომ რომ აფრინა დეპეშა ქუთაისში „სასტავში ჩავვარდიო"... ჯიგრიანი მოთამაშე იყო, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა მეტოქის თავდამსხმელს, ვინც გინდა ყოფილიყო. განსაკუთრებით კარგად „იჭერდა" დრიბლინგის ცნობილ ოსტატს, შესანიშნავი ტექნიკის მქონე პეკა დემენტიევს, ციბრუტივით სხარტსა და სწრაფ ვლადიმერ დიომინს. არკადიევის ცდკა-ს სახელგანთქმული გუნდის მარცხენა გარემარბი დიომინი მოთელვაზე რომ გავიდოდა, ჯერ ჩვენს „სასტავს" შეათვალიერებდა და მიხოს დანახვაზე, პირდაპირ სიმწრის ოფლს ასხამდა — „ოპიაწ ეტოტ..." ჭელიძე მუდამ დაუზარებლად, ზუსტად ასრულებდა მწვრთნელის დავალებას, რაც ერთხელ კურიოზამდეც მივიდა. უთხრეს, თვალი არ მოაცილო დიომინსო და აკი კიდეც შეასრულა. ერთ-ერთ მომენტში თამაშის დროს მოსკოველს ბუცის თასმა შეეხსნა და სარბენ ბილიკზე გავიდა შესაკრავად. ჩამუხლულმა უცებ ზევით აიხედა და... მიხო ჭელიძე არ დასდგომია თავს.

ვლადიმერ ელოშვილი:

— ხუმრობა იქით იყოს და მიხო ჭელიძე (მცველი ჭელიძეების გვარის პირველი წარმომადგენელი) მართლაც კლდესავით შეუვალი ფეხბურთელი გახლდათ. არ უყურებდა, რა რანგის მეტოქესთან ჰქონდა საქმე. ახალგაზრდებს ბევრს გვეხმარებოდა, ჭკუას გვარიგებდა. თავმდაბალი იყო, უპრეტენზიო, მეგობრული. თამაშს მთელი არსებით ეძლეოდა, თავდავიწყებით იბრძოდა. მახსოვს ერთხელ თამაშის დროს მოულოდნელად დამეჯახა, ფეხი მომარტყა: „რას შვები, ბატონო მიხო, თქვენი ვარ!".. „შენი-ჩემი" არ ვიცი ახლა მე, ფეხებში ნუ მედები".

ნიაზ ძიაპშიპა:

— ჭელიძე მართლაც იშვიათი საშემსრულებლო დისციპლინით გამოირჩეოდა, მუდამ მკაცრად იცავდა რეჟიმს. „დინამოს" სტადიონის უკან ცხოვრობდა საგურამოს ქუჩაზე. ღობე ყოფდა მის სახლსა და სტადიონს. კარგი ჰეოჯახე იყო, კარგი მამა, ვარჯიშზეც კი სანოვაგით დატვირთული მოდიოდა. სულ ოჯახზე ფიქრობდა, ღვინის გემო რა იყო, არ იცოდა. დღეს იგი ავტოტრანსპორტის დარგში მუშაობს, უფროს დისპეტჩერად, მაგრამ ფეხბურთს მაინც არ ღალატობს — ვეტერანთა საბჭოს უცვლელი წევრია.

ავთანდილ ჭკუასელი:

— მწვრთნელი გაიოზ ჯეჯელავა „დინამოს" სტადიონის სათადარიგო მოედანზე საქართველოს ნაკრებს ავარჯიშებდა. საკავშირო შეჯიბრებისათვის ვემზადებოდით. 1949 წელი იყო. „დინამოში" ახალი მისული ვიყავი. ჩემთან ერთად ვარჯიშობდნენ ზაურ კალოევი, ალიოშა კოტრიკაძე, შოთა კიტია და სხვა ახალბედები. სად იყო და სად არა, მიხო ჭელიძე გამოჩნდა, „მე ვასწავლი მაგათ, როგორ უნდა დარტყმა" — უთხრა ჯეჯელავას. როდესაც თანხმობა მიიღო, შორიდან გამოქანდა ბურთისაკენ, მაგრამ ფეხი აუსხლტა და სველ მინდორს დაასკდა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. სიცილისაგან ვიგუდებოდით, მაგრამ როგორც შეგვეძლო თავს ვიკავებდით — ასე ცნობილ ოსტატს გახუმრებას როგორ შევბედავდით. მერე ისევ თვითონ გვიშველა: „აი ასე რომ არ დაგემართოთ, ყმაწვილებო, უფრო მეტი უნდა ივარჯიშოთ!.."

გაიოზ ჯეჯელავა:

— მიხო ჭელიძე საუცხოოდ ასრულებდა პერსონალური მცველის როლს, ბურთის ართმევაში ბადალი არ ჰყავდა. შეეძლო 90 წუთს კი არა, ზედიზედ ოთხი ტაიმის მანძილზე ეთამაშა. 1944 წელს საერთაშორისო შეხვედრები გვქონდა ირანში. თავრიზში მატჩის დროს მასპინძლებს მოთამაშე დააკლდათ, ჩვენებს მოელაპარაკნენ და თავიანთი გუნდი... მიხო ჭელიძით შეავსეს. ვიგებდით 9:0, თამაშის დამთავრებას სამი წუთი აკლდა, როცა მიხომ დაახლოებით 20 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ჩვენს კარში გოლი გაიტანა — პირდაპირ „ცხრიანში". მეკარე ვალტერ სანაია ბურთის გამოსატანად კარში არ შესულა, გამოეკიდა მიხოს ხელის ქნევით: შე კაი დედმამიშვილო, შენ სიცოცხლეში ბურთი არ შეგიგდია, რაღა მე გამიტანე გოლი ამ „მეჟდუნაროდნი" მატჩშიო.

გიორგი ანთაძე:

— მიხო ჩვენს გუნდში ყველაზე ენამოსწრებული და მხიარული იყო. დიდი იუმორით გამოირჩეოდა. თვითონაც არავისგან არ სწყინდა გახუმრება. ერთ დღეს, როდესაც უკვე სათადარიგო შემადგენლობაში გამოდიოდა, გვერდზე გამიხმო და მითხრა: „ჯანოს ჯაზის ბიჭები შემხვდნენ, მითხრეს შენზე ახალი ტექსტი გვჭირდება და ეგებ ვინმე ნაცნობი პოეტი გყავსო. ჰოდა მე შენზე კარგი მოლექსე ამ ქვეყნად არ მეგულება..." მივხვდი, უკვე გაგებული ჰქონდათ ჩემი ახალი ლექსის ამბავი და ჯერ განგებ შორს დავიჭირე, მერე კი „მოვლბი" და მივუგე — შენი „შემდგომი" პოპულარობისათვის რას არ ვიზამ, ჩემო მიხო-მეთქი. ავიღე სუფთა ფურცელი და ვითომ იქვე ექსპრომტად დავწერე კარგად გაზეპირებული სტრიქონები:

მიხო უკვე მოხუცდა,
აღარა აქვს ჯანიო,
დღეს დუბლებში თამაშობს
გუნდის კაპიტანიო!
ნუ გეშინიათ...

მიხოს ძალიან „მოეწონა" ეს ლექსი, მთხოვა მომეციო, მაგრამ უარი ვუთხარი. მერე ეშმაკობას მიმართა: მოდი თითო ლუდი დავლიოთ და „სასისკიც" მივაყოლოთო. მადიანად შევექეცით. გზაში მიხომ ვითომ სხვათა შორის მითხრა, „ბიჭო, მომეცი ეგ ლექსი". როდესაც ფურცელი მიიღო, უეცრად იერი შეეცვალა და მკაცრი ხმით მითხრა: „მეტი აღარ იმღეროთ ჩემზე!". მაგრამ მისი მეგობრები მაინც ხშირ-ხშირად ვღიღინებდით ამ სტრიქონებს. კი მაგრამ, შენ ხომ ის ქაღალდი მე მომეციო — ვითომ უკვირდა მიხოს.

— მერე რა, სამაგიეროდ ლექსი თავში მაქვს.

— არ ჯობდა „ვეფხისტყაოსანი" დაგეზეპირებინა? — სიცილით მომიჭრა ჭელიძემ და ნიშნის მოგებით გადახედა ამხანაგებს.

გივი აბაშიძე (ძველი დინამოელი, კალათბურთელი):

— სიმღერა მიხოია ჭელიძეზე ჯანოს ჯაზის შესრულებით პირველად ქუთაისში მოვისმინე 1947 წელს, მერე „მუშტაიდისა" და „გოფილექტის" საზაფხულო ბაღების ესტრადაზეც ბევრჯერ დავმტკბარვარ ნოდარ ფაილოძის მოხდენილი შესრულებით. მოგვიანებით ბაგრატიონის ჯაზი კვლავ ეწვია ჭელიძის მშობლიურ ქუთაისს. მაშინ მე უკვე თბილისში ვიყავი, მეგობრებმა მითხრეს, კონცერტის დროს მიხოიას ნათესავები სცენაზე აცვივდნენ და მომღერლის გალახვა უნდოდათო, ჯანოსაც ემუქრებოდნენ, მაგრამ ბოლოს სიმღერა ისე მოეწონათ, რომ ყველაზე მაგრად ტაშს ისინი უკრავდნენო...

ომარ ნოზაძე.





სურათზე: 1939 წელი, მოსკოვი, „დინამოს" ცენტრალური სტადიონი. მოსკოვის „ლოკომოტივისა" და თბილისის „დინამოს" საკავშირო პირველობის მატჩი. ამ თამაშში დინამოელი ჭელიძე (მარჯვნიდან მეორე) საუკეთესოდ მეურვეობდა მოსკოველთა ყველაზე სახიფათო ფორვარდს ვასილი კარცევს (მუქ მაისურში). კადრში არიან აგრეთვე დინამოელები ბორის ფროლოვი და შოთა შავგულიძე.

ფოტო „ლელოს" არქივიდან.

თვის მონაგარი

როცა კარგ საქმეს ბოლოთქმა სჭირდება

(დასასრული)

ლიგაში. მესამედ! რა კარგი იქნებოდა, თავის დროზე ასეთი სიმტკიცე რომ გამოეჩინა რესპუბლიკის მეორე გუნდს კალათბურთში, თბილისის „ბურევესტნიკს" და მის მესვეურებს... სამწუხაროდ, მათ ირწმუნეს „თეორია", რომლის მიხედვითაც საქართველოს უმაღლეს ლიგაში არ შეეძლო ორი გუნდი ჰყოლოდა და „ნებაყოფლობით" დატოვეს სარბიელი ისე, რომ ახლა კალათბურთის სპეციალისტებსაც კი უჭირთ მათი ადგილსამყოფელის დადგენა. როგორ ფიქრობთ, მოუტანა რაიმე სარგებლობა „დინამოს" სტუდენტთა გუნდის „სცენიდან წასვლამ"? თქვენ მტერს ის, რაც ამ აქციამ მთელს ჩვენს კალათბურთს და მათ შორის „დინამოს" მოუტანა: საქართველოს საუკეთესო გუნდს მოაკლდა მაცოცხლებელი წყარო, რომელიც მას აწვდიდა ახალგაზრდა პერსპექტიულ მოთამაშეებს. ჩვენი სტუდენტური კალათბურთის კალაპოტი დაშრა... ახლა საგონებელში ჩავცვივდით, ვეძებთ გზებს როგორ ავაღორძინოთ ის საქმე, რომელიც ჩვენი უგუნურობითა და წინდაუხედაობით თავის დროზე ჩვენვე დავასამარეთ. ასეთი ჭკუის სასწავლებელი, მწარე გაკვეთილი მივიღეთ და კიდევ გვიბრუნდება ენა და ვწუწუნებთ, უმაღლეს ლიგაში არ უნდა გვყავდეს ორი გუნდიო?

სხვა საკითხია ის, რომ ჩვენი ეროვნული ფეხბურთის ორგანიზაცია მთელი თავისი სტრუქტურითა და ინსტიტუტით საფუძვლიან გადახედვა-ანალიზს მოითხოვს. საქართველო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი დიდი საფეხბურთო ცენტრია, სადაც უსაზღვროდ უყვართ სპორტის ეს სახეობა და ის, რომ ჩვენ ორი გუნდი გვყავს უმაღლეს ლიგაში, ამ სიყვარულის გამოხატულებაა. მაგრამ ერთია სიყვარული, ჭეშმარიტად საერთო-სახალხო სიყვარული, ხოლო მეორე — სუსტი ორგანიზაცია, რის გამოც ჩვენ აუარებელ ნიჭიერ ფეხბურთელს ვუკარგავთ როგორც უმაღლესი ლიგის, ისე პირველი ლიგის გუნდებს. ადრეც გვითქვამს, მაგრამ ახლა უფრო კატეგორიულად ვაცხადებთ: ისეთი დიდი საფეხბურთო ორგანიზმი, როგორიც რესპუბლიკის ჩემპიონატია, ვერ ამართლებს თავის პირდაპირ დანიშნულებას და სისტემატურად ვერ აწვდის ახალგაზრდა პერსპექტიულ ფეხბურთელებს საქართველოს წამყვან გუნდებს. ამიტომ უაზრო დავა-კამათს იმაზე, უნდა გვყავდეს თუ არ უნდა გვყავდეს ორი გუნდი უმაღლეს ლიგაში, გვიჯობს სასწრაფოდ მივხედოთ ჩვენს აწეწილ-დაწეწილ საფეხბურთო მეურნეობას და გავაუმჯობესოთ სახელდახელო მუშაობა. მაშინ თბილისის „დინამოსაც" ეყოლება საიმედო კადრები, ქუთაისის „ტორპედოსაც" და იმ გუნდებსაც, რომლებიც დღეს ქართული ფეხბურთის პრესტიჟს წარმოაჩენენ საკავშირო სარბიელზე.

მაშ, წარმატებები ვუსურვოთ ქუთაისელ ფეხბურთელებს, მის მწვრთნელებს, მადლობა ვუძღვნათ ქალაქის ხელმძღვანელობას იმ ზრუნვისა და ყურადღებისთვის, რასაც ისინი თავიანთი გუნდის და, მაშასადამე, ქართული ფეხბურთისადმი იჩენენ.

—თავისუფალი ჭიდაობა

ეს სახეობა ქართველ კაცს განსაკუთრებულად უყვარს. ჩვენს დამოკიდებულებას თავისუფალი ჭიდაობისადმი ძირძველი ტრადიციები ასაზრდოებს, წლების მანძილზე მსოფლიოში ქუხდა ქართველ ფალავანთა სახელები. მაგრამ ერთი ხანობა ჩვენს ტრადიციულ სახეობას წყალი შეუდგა. ახლა ეს საბედისწერო კრიზისის პერიოდი დამთავრდა და სრული უფლება გვაქვს იმედიანად შევხედოთ მომავალს. ამის დასტურად თუნდაც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ქართველ ყმაწვილთა მეორე საპრიზო ადგილი გამოდგება. სულ ახლახან კი ჩვენმა ფალავნებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს და საკავშირო თასის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავეს. ცხადია, ამ წარმატებას ის სასიხარულო შედეგიც მოჰყვა, რომ ჩვენმა მოჭიდავეებმა რამდენიმე ადგილი „დაჯავშნეს" ქვეყნის ნაკრებშიც.

აფროსნობა

მადლობის მეტი რა გვეთქმის ქართული სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და საუკეთესო წარმომადგენლის, აწ უკვე სპორტის დამსახურებული ოსტატის გურამ ბიგანიშვილის მიმართ. ღმერთს ყველაფერი რომ მიუცია, სწორედ ის კაცი გახლავთ: გურამ ბიგანიშვილი თავისი სპორტული და მოქალაქეობრივი ღირსებებით ჭეშმარიტად სამაგალითოა სპორტსმენთა ახალგაზრდა თაობისთვის. მან დაგვარწმუნა, უმაღლესი მიღწევებისთვის მარტო ოსტატობა არ კმარა; მასთან ერთად საჭიროა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და კულტურა. აი, როგორ მოთხოვნებს უყენებს უმაღლესი წოდებისთვის მებრძოლთ თანამედროვე სპორტი...

ოქტომბრის სპორტული მოზაიკა ზედმიწევნით გაალამაზა გურამ ბიგანიშვილის ღვაწლის ღირსეულმა დაფასებამ: მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა. დიახ, ქართველ აფროსნებს გურამ ბიგანიშვილის სახით უკვე ჰყავთ დიდებული ლიდერი, მაგრამ, მოგეხსენებათ, ლიდერი არმიის გარეშე წარმოუდგენელია. ვინ გაჰყვება მის გზას? როდის გამოჩნდებიან გურამ ბიგანიშვილის მიმდევრები და მემკვიდრეები?

ასპროცენტიანი შედეგით

ევროპის 33 ქვეყნის 128 კლუბიდან, რომლებიც სექტემბერში საკლუბო ტურნირების გათამაშებაში ჩაებნენ, ასპარეზობას 18 ქვეყნის 32 გუნდი შემორჩა. ოთხშაბათს, 7 ნოემბერს გამართულმა საინტერესო, უაღრესად მიმზიდველმა მატჩებმა კიდევ უფრო შეამცირა საპატიო ჯილდოების მაძიებელთა რიცხვი და რაოდენ სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ეს „შემცირება“ არ შეეხო საბჭოთა კავშირის 4 წარმომადგენელს. სამივე ტურნირის I წრის შემდეგ უდანაკარგოდ მხოლოდ 3 ქვეყანა (სსრ კავშირი, იტალია და საბერძნეთი) იბრძოდა, II წრეში კი ამ „ტრიოს“ იტალიელებიცა და ბერძნებიც გამოაკლდნენ. ამრიგად, საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ჯერჯერობით ასპროცენტიანი შედეგი მოიპოვა, რაც არ შეიძლება არ გვახარებდეს.

ჩემპიონთა თასი

ბულგარეთში საკმაოდ წარუმატებლად ჩატარებული პირველი მატჩის შემდეგ ევროპულ ასპარეზობათა დებიუტანტი, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ ბევრმა სპეციალისტმა თუ ჟურნალისტმა ლამის წინასწარვე განწირულად მიიჩნია. მართლაც, „ლევსკი-სპარტაკის“ სასარგებლოდ მეტყველებდა არა მხოლოდ პირველი შეხვედრის ანგარიში (3:1), არამედ ევროპის საკლუბო ტურნირებში მიღებული მრავალწლიანი გამოცდილებაც. მაგრამ კრივოი როგში გამართულმა საპასუხო მატჩმა ყველას ნათლად დაანახვა მსგავსი პროგნოზების უსაფუძვლობა. მასპინძლებმა ისეთი შემართებით შეუტიეს მეტოქის კარს, რომ თავბრუ დაახვიეს გამოცდილ სოფიელ ფეხბურთელებს. 24-ე წუთისთვის „დნეპრს“ უკვე ორი ბურთი ჰქონდა გატანილი მიხაილოვის კარში, მაგრამ უკან დახევას მაინც არ აპირებდა. ანგარიში მე-11 წუთზე გახსნა ოლეგ ტარანმა, 13 წუთის შემდეგ კი ვიქტორ კუზნეცოვმა ზუსტი და ძლიერი დარტყმით კიდევ ერთხელ აიღო სტუმართა კარი — 2:0. ეს ანგარიში სავსებით აკმაყოფილებდა „დნეპრს“ — მას უპირატესობას ანიჭებდა სოფიაში გატანილი გოლი. „ლევსკი-სპარტაკს“ უკან დასახევი გზა მოეჭრა და შესვენების შემდეგ მთელი გულისყური შეტევისკენ მიაპყრო. სტუმართა შეუპოვრობა ერთხელ კინაღამ გოლითაც დაგვირგვინდა, მაგრამ სპასოვმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა — შესანიშნავად ითამაშა მეკარე კრაკოვსკიმ, რომელმაც ჯერ მოიგერია, შემდეგ კი აიღო სპასოვის მიერ განმეორებით დარტყმული ბურთი. ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გასვლა დნეპროპეტროვსკელთათვის უდავოდ დიდი წარმატებაა.

საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო ლისაბონის „ბენფიკასა“ და ჩემპიონთა თასის ახლანდელი მფლობელის, „ლივერპულის“ შეხვედრა. მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა და თუმცა პორტუგალიელებმა გაიმარჯვეს (1:0), მინიმალური მოგება არ აღმოჩნდა საკმარისი მეოთხედფინალში გასასვლელად. მსაჯმა ჩხუბისთვის მინდვრიდან გააძევა მეტოქეთა გუნდების თითო წევრი. ინგლისელთა მხრიდან ეს გახლდათ ვეტერანი კენი დალგლიში, რომლის არყოფნა „ლივერპულისთვის“ საგრძნობი დანაკლისი იქნება გაზაფხულზე ჩასატარებელ მატჩებში.

ტურინის „იუვენტუსმა“ საპასუხო შეხვედრაშიც წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა „გრასჰოპერსს“ — ციურიჰშიც დაამარცხა შვეიცარიელები — 4:2. 2 გოლი მიშელ პლატინიმ გაიტანა (1 — პენალტით).

საფრანგეთის ფეხბურთის ვეტერანის, ბერნარ ლაკომბის მიერ ბუქარესტში, ადგილობრივ „დინამოსთან“ გატანილმა გოლმა შემდეგ წრეში გაიყვანა მისი გუნდი — ბორდოს „ჟირონდა“.

„იუვენტუსისა“ არ იყოს, სტუმრად გაიმარჯვა პრაღის „სპარტამაც“, რომელმაც დანიის „ლინდბიუს“ მოუგო (2:1), თუმცა პირველი შეხვედრა ამ მეტოქესთან თავის მინდორზე ფრედ დაამთავრა— 0:0.

თასების თასი

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ პროგნოზების არასაიმედობა, მაგრამ მოსკოვის „დინამოს“ გამარჯვებაში მალტის „ჰამრუნ სპარტანსთან“ ცოტა ვინმეს თუ ეპარებოდა ეჭვი. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, 5 ბურთის სხვაობით მოგებული მატჩის შემდეგ გამოეთიშო ასპარეზობას. მით უმეტეს, როცა შენი მეტოქე არ მიეკუთვნება ძლიერთა რიცხვს. მოსკოველებმა კვლავ გაახარეს თავიანთი ქომაგები და სტუმრადაც გაიმარჯვეს — 1:0. ეს გოლი მე-12 წუთზე გაიტანა მიხაილ ჩესნოკოვმა.

ამ გათამაშებაში სტუმრად წაგებული პირველი მატჩისთვის სრული რევანშის აღება მხოლოდ გლაზგოს „სელტიკმა“ მოახერხა. 50 ათასი გულშემატკივარი მხურვალედ ამხნევებდა თავის საყვარელ გუნდს, რომელმაც, ეტყობა, ძველი დრო გაიხსენა. მაკკლერმა, მაკლეოდმა და ბერნსმა 3 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს ვენის „რაპიდის“ კარში და შემდეგ წრეში გაიყვანეს „სელტიკი“.

ნაწილობრივი რევანში აიღო ორმა გუნდმა — პლოვდივის „თრაკიამ“ (დაამარცხა მიუნჰენის „ბაიერნი“ — 2:0) და კრაკოვის „ვისლამ“ (სძლია სიტარდის „ფორტუნას“ — 2:1), მაგრამ მეოთხედფინალში გასასვლელად ეს მოგებები არ აღმოჩნდა საკმარისი.

ასპარეზობას გამოეთიშა I წრის „გმირი“, უელსის „რექსემი“, რომელიც ინგლისის IV ლიგაში თამაშობს და იქაც ერთ-ერთი აუტსაიდერია. ალბათ გახსოვთ, I წრეში „რექსემმა“ მრისხანე მეტოქე, პორტუგალიის „პორტუ“ დაამარცხა, ახლა კი არანაკლებ ძლიერ გუნდთან იტალიის „რომასთან“ მოუწია შეხვედრა. I ტაიმში სტუმართა კარი ბეწვზე გადარჩა. დევიდ გრეგორის დარტყმის შემდეგ „რომას“ მცველებმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანეს ბურთი. მეორე ტაიმში ფრანჩესკო გრაციანიმ ზუსტი თავური დარტყმით დააგვირგვინა ბრუნო კონტის მიერ მარცხენა ფლანგიდან წამოწყებული კომბინაცია.

მოულოდნელი შედეგების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ საბერძნეთის „ლარისას“ მოგება (1:0) ჟენევაში „სერვეტთან“.

უეფა-ს თასი

მინსკის „დინამო“. ლისაბონის „სპორტინგთან“ საპასუხო მატჩის წინ ძნელი ამოცანის წინაშე იდგა: საბოლოო წარმატების მისაღწევად მას ორბურთიანი „დეფიციტის“ გაბათილება სჭირდებოდა. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ „პროგრამა-მინიმუმი“ მინსკელებმა შეხვედრის დებიუტშივე შეასრულეს: მე-2 წუთზე ვიქტორ სოკოლმა კარგად გამოიყენა სტუმართა მიერ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას დაშვებული შეცდომა და ანგარიში გახსნა. 16 წუთის შემდეგ მანვე ზუსტად დაარტყა ძელიდან ასხლეტილი ბურთი. ორი მატჩის ჯამში ანგარიში გათანაბრდა — 2:2. სოკოლს კიდევ ერთხელ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მისი თავური დარტყმა კარის ზედა ძელმა „მოიგერია“. ვერც დარჩენილ დროში და ვერც დამატებით 30 წუთში, მეტოქეებმა ველარ მოახერხეს გოლის გატანა, 11-მეტრიანი დარტყმები კი მინსკელებმა უკეთ შეასრულეს — 5:3. გადამწყვეტი გამოდგა პორტუგალიელი შავიერის დარტყმა, რომელსაც ჟეკიუმ კარგად აუღო ალღო..

მერვედფინალში გავიდა მოსკოვის „სპარტაკიც“, რომელმაც დამაჯერებლად მოუგო ლაიფციგის „ლოკომოტივს“ — 2:0. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამარჯვება მოსკოველებს იოლად არ მოუპოვებიათ. სტუმრებმა დაცვაში მკაცრ პერსონალურ მეურვეობას მიმართეს, რაც უკიდურესად ზღუდავდა „სპარტაკის“ კომბინაციურ თამაშს. მიუხედავად ამისა, მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობა მაინც აშკარა იყო. 26-ე წუთზე იური გავრილოვმა ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა მარჯვენა „ცხრიანში“ და ანგარიშიც გახსნა. გაშვებულმა გოლმა სტუმრები გაააქტიურა, მაგრამ სპარტაკელები დინჯად და უნარიანად იცავდნენ თავს, ხოლო შესვენების შემდეგ, 47-ე წუთზე თავად მიაღწიეს წარმატებას — სერგეი როდიონოვმა შესანიშნავად გამოიყენა შავლოს ზუსტი გადაცემა — 2:0.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია ესპანეთის ერთადერთი წარმომადგენლის, სახელმოხვეჭილი მადრიდის „რეალის“ მოგება (3:0) იუგოსლავიის „რიეკასთან“. მადრიდელებს მერვედფინალის საგზური მოუტანა ხუანიტოს, სანტილიანასა და ვალდანოს გოლებმა.

ამავე ანგარიშით (3:0) მოიგო უეფა-ს თასის ამჟამინდელმა მფლობელმა „ტოტენჰემ ჰოტსპურმაც“. ლონდონის „უაით ჰართ ლეინის“ სტადიონზე მასპინძლებმა ჩინებულად ითამაშეს და ყველა საფეხბურთო კომპონენტში აშკარად დაჯაბნეს ძლიერი მეტოქე — ბელგიის „ბრიუგე“. თავი გამოიჩინეს ჰეზარდმა, ალენმა და რობერტსმა.

საკმაოდ მოულოდნელი იყო ბრიუსელის „ანდერლეჰტის“ გამანადგურებელი გამარჯვება (6:2) ფლორენციის „ფიორენტინასთან“. საინტერესოა, რომ მასპინძლებმა 5 ბურთი შეხვედრის ბოლო 30 წუთში გაიტანეს. მაგრამ ყველაზე დიდი სენსაცია მაინც ბელგრადში შედგა, სადაც ადგილობრივმა „პარტიზანმა“ ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ დაამარცხა (4:0) და დამაჯერებელი რევანში აიღო პირველი მატჩის წაგებისთვის (2:6).

„გლაზგო რეინჯერსმა“, მართალია დაამარცხა მილანის „ინტერნაციონალე“ (3:1), მაგრამ მაინც გამოეთიშა ასპარეზობას. გამარჯვებულთაგან 2 გოლი გაიტანა ფერგიუსონმა, ერთადერთი საპასუხო გოლი კი ალტობელიმ შეაგდო.

დამატებით დროში გორდონ სთრაქანის მიერ გატანილმა პენალტმა გამარჯვება მოუტანა ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჰოლანდიის „ეინდჰოვენთან“ შეხვედრაში.

28 ნოემბერს და 12 დეკემბერს უეფა-ს თასის მერვედფინალური მატჩები გაიმართება, შემდეგ კი ევროპის უძლიერესი საკლუბო გუნდები 1985 წლის გაზაფხულამდე დაისვენებენ.

ევროპის საკლუბო ტურნირები

ჩემპიონთა თასი

მერვედფინალი, II ტური

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი, სსრ კავშირი) — „ლევსკი-სპარტაკი“ (სოფია, ბულგარეთი) 2:0 (1:3)
„აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) — „დინამო“ (ბერლინი, გდრ) 2:1 (3:3)
„ლინფილდი“ (ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია) — „პანათინაიკოსი“ (ათენი, საბერძნეთი) 3:3 (1:2)
„ლინდბიუ“ (დანია) — „სპარტა“ (პრაღა,, ჩეხოსლოვაკია) 1:2 (0:0)
„ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „ლივერპული“ (ინგლისი) 1:0 (1:3)
„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ჟირონდა“ (ბორდო, საფრანგეთი) 1:1 (0:1)
„ბევერენ-ვაასი“ (ბელგია) — „გიოტებორგი“ (შვეცია) 2:1 (0:1)
„გრასჰოპერსი“ (ციურიჰი, შვეიცარია) –– იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) 2:4 (0:2)

თასების თასი

მერვედფინალი, II ტური

„ჰამრუნ სპარტანსი“ (მალტა). — „დინამო“ (მოსკოვი, სსრ კავშირი) 0:1 (0:5)
„მეცი“ (საფრანგეთი) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ) 0:0 (1:3)
„ვისლა“ (კრაკოვი, პოლონეთი) — „ფორტუნა“ (სიტარდი, ჰოლანდია) 2:1 (0:2)
„ევერტონი“ (ლივერპული, ინგლისი) — „ინტერი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) 3:0 (1:0)
თრაკია“ (პლოვდივი, ბულგარეთი) — „ბაიერნი“ (მიუნჰენი, გფრ) 2:0 (1:4)
„რექსემი“ (უელსი) — „რომა“ (იტალია) 0:1 (0:2)
„სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) — „რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) 3:0 (1:3)
„სერვეტი“ (ჟენევა, შვეიცარია) — „ლარისა“ (საბერძნეთი) 0:1 (1:2)

უეფა-ს თასი

მეთექვსმეტედფინალი, II ტური

„სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრ კავშირი) — „ლოკომოტივი“ (ლაიფციგი, გდრ) 2:0 (1:1)
„დინამო“ (მინსკი, სსრ კავშირი) — „სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია) 2:0 (0:2), პენალტებით 5:3
„ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი, ინგლისი) — „ბრიუგე“ (ბელგია) 3:0 (1:2)
„პარტიზანი“ (ბელგრადი, იუგოსლავია) — „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ (ლონდონი, ინგლისი) 4:0 (2:6)
„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია) 3:1 (0:3)
„კიოლნი“ (გფრ) — „სტანდარდი“ (ლიეჟი, ბელგია) 2:1 (2:0)
„ბოჰემიანსი“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) 1:0 (0:1), პენალტებით 4:2
„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „რიეკა“ (იუგოსლავია) 3:0 (1:3)
„ვიდეოტონი“ (სეკეშფეჰერვარი, უნგრეთი) — „პარი სენ-ჟერმენი“ (პარიზი, საფრანგეთი) 1:0 (4:2)
„ვიძევი“ (ლოძი, პოლონეთი) — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ) 1:0 (2:3)
„დანდი იუნაიტედი “ (შოტლანდია) — „ლინცერ აშკ“ (ლინცი, ავსტრია) 5:1 (2:1)
„მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) 1:0. დამატებით დროში (0:0)
„სიონი“ (შვეიცარია) — „ჟელეზნიჩარი“ (სარაევო, იუგოსლავია) 1:1 (1:2)
„ოლიმპიაკოსი“ (პირეუსი, საბერძნეთი) — „უნივერსიტატეა“ (კრაიოვა, რუმინეთი) 0:1 (0:1)
„ანდერლეჰტი“ (ბრიუსელი, ბელგია) — „ფიორენტინა“ (ფლორენცია, იტალია) 6:2 (1:1)
ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე“ (სოფია, ბულგარეთი) — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ (გფრ) 1:2 (0:4)

„კიოლნი“ და „ვიძევი“...

გუშინ ციურიხში, უეფა-ს შტაბ-ბინაში გაიმართა უეფა-ს თასის გათამაშების III წრის წილისყრა. მერვედფინალისტები ასე დაწყვილდნენ:

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „კიოლნი“
„ვიძევი“ (ლოძი) — „დინამო“ (მინსკი)
„ჰამბურგერ შპორტფერაინი“ — „ინტერნაციონალე“ (მილანი)
„ანდერლეჰტი“ (ბრიუსელი) — „რეალი“ (მადრიდი)
„მანჩესტერ იუნაიტედი“ — „დანდი იუნაიტედი“
„ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი) — „ბოჰემიანსი“ (პრაღა).
„უნივერსიტატეა“ (კრაიოვა) — „ჟელეზნიჩარი“ (სარაევო)
„ვიდეოტონი“ (სეკეშფეჰერვარი) — „პარტიზანი“ (ბელგრადი)

პირველი მატჩები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე 28 ნოემბერს, საპასუხო შეხვედრები კი 12 დეკემბერს შედგება.

მინდა ჩემი წვლილიც იყოს...

სარუხანოვი გოჩა ლევანის ძე.
დაიბადა 1964 წლის 1 მაისს თბილისში.
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ტყვიის სროლაში.
სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრი.
სიმაღლე — 183 სმ, წონა — 70 კგ.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1978 წელს.
მწვრთნელი ვლადიმერ სკრინიკოვი.
საქართველოს სამგზის ჩემპიონი მვ-9 და მვ-6 ვარჯიშებში.
1984 წ. იუნიორთა საკავშირო პირველობის ვერცხლის პრიზიორი,
II ადგილი სსრ კავშირის თასის გათამაშებაში (სოხუმი).
საუკეთესო შედეგი: 598 ქულა 600-იდან (მვ-9 ვარჯიშში).

ყოველი წლის დამლევს სოხუმი მსროლელთა რომელიმე დიდ საკავშირო შეჯიბრებას მასპინძლობს. წლევანდელი ტურნირის მონაწილეებს ორ ფრონტზე მოუხდათ ბრძოლა — საკავშირო ჩემპიონატსა (პროგრამაში იყო მხოლოდ არაოლიმპიური სახეობები) და თასის გათამაშებაში. განსაკუთრებული წარმატების შემთხვევაში მსროლელს ერთბაშად „ორი კურდღლის დაჭერა“ შეეძლო. სოხუმში დუბლი ვერავინ გააკეთა, თუმცა პროგრამის ზოგიერთ სახეობაში სპორტსმენებმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს.

საუწყებო შეჯიბრებაში, როგორც წესი, სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. ჩვენი რესპუბლიკის მსროლელები „დინამოსა“ (3 მონაწილე) და დოსააფ-ის (2 მონაწილე) ნაკრებ კოლექტივებში მოხვდნენ. ამ ხუთეულიდან რამდენადმე მნიშვნელოვან წარმატებას მხოლოდ გოჩა სარუხანოვმა მიაღწია (მეორე საპრიზო ადგილი მვ-9 ვარჯიშში). ჩვენი დღევანდელი საუბარიც სწორედ ამ ტურნირის პერიპეტიებს ეძღვნება.

● **თავდაპირველად განვმარტოთ რას ნიშნავს ვარჯიში მვ-9?**

— მვ მცირეკალიბრიანი შაშხანის შემოკლებული აღნიშვნაა. მეცხრე ვარჯიში კი წოლილა სროლას გულისხმობს. შეჯიბრების დროს სპორტსმენს სამოცი გასროლის უფლება აქვს. ეს სამოცი სროლა ექვს სერიად იყოფა. ვინც ზუსტად მოახვედრებს სამიზნეს ცენტრში და ექვსასი შესაძლებლიდან მეტ ქულას მოაგროვებს, გამარჯვება მას ენიჭება.

● **ამბობენ სროლა დიდ ფიზიკურ გამძლეობას ითხოვსო?**

— არა მარტო ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ სიმტკიცესაც, უნდა ნახოთ რა დღეში ვართ შეჯიბრების შემდეგ.

● **დრო თუა განსაზღვრული?**

— რა თქმა უნდა. ყოველი მონაწილისთვის დაწესებულია საკონტროლო ვადა — საათი და ორმოცდახუთი წუთი. უსათუოდ ამ დროში უნდა ჩაეტიო.

● **გყოფნით ასეთი რეგლამენტი?**

— მსროლელს გააჩნია. მე მაგალითად ნებისმიერ შეჯიბრებას საშუალოდ ერთ საათში ვამთავრებ. მეტი დრო არ მჭირდება.

● **რაიმე შეღავათს თუ ღებულობთ ამით?**

— არავითარს. სისწრაფე, ამ შემთხვევაში მხოლოდ სპორტსმენის ხასიათზე მიუთითებს. მე მიჭირს დიდხანს დამიზნება. ეს არის და ეს.

● **რა განსაკუთრებული თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს კარგი მსროლელი?**

— ზუსტი თვალის ზომით და რკინის ნერვებით. ერთი სიტყვით, თავისი საქმის ოსტატი უნდა იყოს.

● **მოქმედებს თუ არა სროლის ხარისხზე გარეშე ფაქტორები?**

— გააჩნია რას ვგულისხმობთ ამ ფაქტორებში. სროლის დროს სპორტსმენი ფაქტიურად მოწყვეტილია სამყაროს. მისი აზრი და ყურადღება კონცენტრირებულია ჩვეულ მოძრაობებზე. სხვას ვერაფერს ხედავს, ვერაფერს ამჩნევს, მაგრამ ძლიერი ქარი თუ ამოვარდა, შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაეყაროს. ამინდს დიდი მნიშვნელობა აქვს.

● **როგორც ვიცით, თქვენ მხოლოდ მოსკოველმა ფედკინმა გაჯობათ. შეგეძლოთ მისი დამარცხება?**

— ძნელი სათქმელია. საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ვალდებულია ყველა პირობებში კარგად ისროდეს. მეც შემეძლო უკეთ მესროლა.

● **მერე და რამ შეგიშალათ ხელი?**

— ახლა ამაზე ლაპარაკი, თავის მართლება უხერხულია. მაგრამ მაინც ვიტყვი: როცა მეხუთე სერიაში ათიანს ერთი ვაზნა დავაცილე, ძლიერი ქარი იყო.

● **იმ სერიაში ხომ არ გადაწყდა ბრძოლის ბედი?**

— სამწუხაროდ არა. სამწუხაროდ-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მაშინ მეც გამარჯვებულის შედეგი მექნებოდა. ბრძოლის ბედი გადაწყდა მეორე სერიაში, როცა ათიანს ორი ვაზნა დავაცილე.

● **თქვენ უკვე იცოდით მეტოქის შედეგი. ნუთუ არ შეიძლებოდა მდგომარეობის გამოსწორება, მით უმეტეს, რომ კიდევ ოთხი სერია გქონდათ წინ.**

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სროლაში ასე არ ხდება ხოლმე. ჩვენ სროლის დამთავრებამდე არაფერი ვიცით მეტოქეებზე. შედეგებს ვიგებთ ბრძოლის შემდეგ. ალბათ ასე სჯობს. ინფორმაციის სიჭარბემ ადვილად შეიძლება წონასწორობიდან გამოიყვანოს მსროლელი.

● **სროლის დროს სპორტსმენი დიდ ფიზიკურ ენერგიას ხარჯავს. გაქვთ თუ არა სულის მოთქმის საშუალება?**

— ისევ და ისევ მსროლელს გააჩნია. აკი გითხარით, ერთ საათში ვამთავრებ-მეთქი შეჯიბრებას. მაგრამ ვინაიდან სერიებს შორის „ტაიმ-აუტით“ სარგებლობა წესებით არის ნებადართული, ზოგი ამ უფლებას ხალისით იყენებს.

● **ფედკინზე აღარაფერს ვამბობთ, სხვებმა როგორ დაამთავრეს შეჯიბრება?**

— შედეგების შეჯამების შემდეგ შვიდ მსროლელს ერთნაირი ქულები აღმოგვაჩნდა. ასეთ შემთხვევაში მსაჯები საკონტროლო ათიანების რაოდენობას ითვლიან — ვინ მეტჯერ მოახვედრა ათიანებს ცენტრში. სწორედ ამ ნიშნით დავიკავე მეორე საპრიზო ადგილი.

● **კმაყოფილი ხართ შედეგით?**

— ტურნირი ერთობ პრესტიჟული იყო, ასე რომ უფლება არ მაქვს შედეგს დავემდურო.

● **საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში მოხვედრა ყველა სპორტსმენის ოცნებაა. ამ მხრივ როგორ გაქვთ საქმე?**

— იმისათვის, რომ ნაკრებში შემიყვანონ, ასეთი შედეგი საკავშირო ჩემპიონატებში სამჯერ მაინც უნდა გავიმეორო. კაცი იმედით ცხოვრობს და მეც მჯერა — ადრე თუ გვიან მიზანს მივაღწევ.

● **სპორტის სხვა სახეობით თუ ყოფილხარ გატაცებული?**

— სკოლის წლებში, დავამთავრე თბილისის 150-ე სკოლა, ცურვა და კალათბურთი მომწონდა.

● **მერე და რატომ აიყარეთ გული?**

— გული არ ამიყრია, უბრალოდ მივხვდი დიდი სპორტსმენი რომ ვერ გავხდებოდი. არადა მინდა ჩემი წვლილიც იყოს ქართულ სპორტში.

ნოდარ გუგუშვილი.

საზღვარგარეთის სპორტის ვარსკვლავები

ვინ არის პრებენ ელკიაერ-ლარსენი? ერთი შეხედვით, ეს ახირებულ კითხვად მოგეჩვენებათ. დღეს ყველამ კარგად იცის დანიის ნაკრების ამ ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელის სახელი. მაგრამ ჩვენი კითხვა ახირებული მაინც არ არის და აი, რატომ: ელკიაერი პრებენ ლარსენმა თავად მიუმატა საკუთარ გვარს, რათა გამორჩეულიყო ურიცხვი ლარსენისაგან, რომლებიც მის სამშობლოში, დანიაში და ბელგიაშიც ცხოვრობენ. საკუთრივ ელკიაერი საიდანღა გაჩნდა? ელკიაერი ლარსენის დედის გვარი გახლავთ. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ უცხოელ ჟურნალისტებს პრებენის „ცუღლუტობამ“ ბევრი თავსატეხი გაუჩინა: ზოგი ელკიაერს წერს, ზოგი ლარსენს, ჩვენი გაზეთი კი, თუმცა დღემდე მკითხველივით არ იცოდა გვარი-კომპოზიტის შექმნის ისტორია, ალბათ ინტუიციით ყველაზე სწორად წერდა: ელკიაერ-ლარსენი. ასეა თუ ისე, ეს ცნობა ჩვენ შევიტყვეთ დასავლეთგერმანული პრესიდან.

როგორ იქცა პრებენ ლარსენი... ელკიაერ-ლარსენად

„საფეხბურთო“ ასაკის მიხედვით ელკიაერ-ლარსენს აღარ დაერქმევა ჭაბუკი. იგი დაიბადა 1957 წლის 11 სექტემბერს, 19 წლისა მიიწვიეს „კიოლნში“, სადაც მას არ მოუხდენია განსაკუთრებული შთაბეჭდილება. როგორი საკვირველიც უნდა იყოს, პრებენს ძალიან ცოტა გოლი გაჰქონდა. არადა, „კიოლნმა“ იგი იმიტომ იყიდა, რომ ეგონა, ტანადი, საუცხოო ფიზიკური მონაცემებით დაჯილდოებული, ინგლისური ყაიდის ცენტრფორვარდი მეტოქეთა ბადეს მტვერს აადენსო. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ლარსენმა მტვერი კლუბის პატრონებს უფრო არგუნა. ასე იყო თუ ისე, „კიოლნს“ პრებენისათვის კალთა არ დაუხევია, როცა მას კონტრაქტი დაუმთავრდა. პრებენსაც ბევრი არ უფიქრია და გადაწყვიტა კლიმატი გამოეცვალა, ბუნდესლიგიდან დანიის მეზობელ ბელგიაში გადაბარგებულიყო. „ლოკერენში“ მას სიხარულით შეხვდნენ. საზოგადოდ, ფეხბურთელისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო კლუბს, არამედ გარემოსა და ატმოსფეროსაც. რამდენჯერ გაგვიგონია, — ეს ძირითადად უცხოელ ლეგიონერებზე ითქმის, — ფეხბურთელი ერთ გუნდს ვერ შეწყობია, თავი ვერ გამოუჩენია, მეორე გუნდში კი საუკეთესო გამომდგარა. ასე დაემართა პრებენ ელკიაერ-ლარსენსაც. „ლოკერენის“ პერიოდი ჯერჯერობით ყველაზე ნაყოფიერია მის საფეხბურთო ცხოვრებაში. აქვე დაიგდო მან ერთ-ერთი შედეგიანი ფეხბურთელის სახელი, რასაც ადასტურებდა დანიის ეროვნულ ნაკრებში გატანილი საუცხოო გოლებიც. სხვათა შორის, უხვგოლიან პრებენ ელკიაერ-ლარსენს შინ „მალკიაერს“ ეძახიან, რაც გოლების მოყვარულს ნიშნავს. როცა მას ერთხელ ჰკითხეს, რა არის შენი ჰობი, მან უპასუხა: „გოლები“. „ჩემი საფეხბურთო რენესანსი დაკავშირებულია „ლოკერენთან“, ამბობს პრებენი. აქ საუცხოო პირობებს მიქმნიდნენ კლუბის ხელმძღვანელები და პარტნიორებიც. ფეხბურთელს ბევრი რამ სჭირდება საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად და უწინარეს ყოვლისა, მხარდაჭერა“.

„კიოლნისაგან“ განსხვავებით, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა პრებენის მიმართ, ელკიაერ-ლარსენი თვითონ არ იყო კმაყოფილი ბელგიურ კლუბში თამაშით. „ყოველ მატჩში მხოლოდ სამი-ოთხი ათასი მაყურებლის თვალწინ თამაში მაინცა და მაინც არ უნდა იყოს სახარბიელო ფეხბურთელისათვის, რომელსაც რაღაცას უნდა მიაღწიოს“. ეს მოტივი საკმარისი აღმოჩნდა დანიის ნაკრების ვარსკვლავისათვის, რათა მას „ლოკერენისათვის“ ნახვამდისო, ეთქვა და ვერონის „ჰელასში“ გადასულიყო, თუმცა, მანამდე „ტოტენჰემს“ სურდა მისი გადაბირება.

ახლა ევროპული პრესა ბევრს წერს დანიური ფეხბურთის „ამოსულ ვარსკვლავზე“, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ევროპის ბოლო ჩემპიონატში. ელკიაერ-ლარსენის მთავარი კოზირია მეტოქის კარის იერიში და დალაშქვრა. ამ მხრივ მას ცოტა ვინმე თუ შეედრება საკუთარ გუნდშიც და ნაკრებშიც.

პრებენი შესანიშნავად ფლობს ბურთს, როგორც წესი, თავის ვიზავიზე მძლავრია ათლეტურად, იოლად აღწევს თავს მეურვეობას, გრძელი ნაბიჯებით მიემართება კარისაკენ, მაგრამ არა სწორხაზოვნად, არამედ მხოლოდ მისთვის ნაცნობი და დანარჩენებისათვის უცნობი გზებით. პრებენზე ამბობენ, რომ იგი მატჩის პროცესში მოედნის „სამ მეოთხედს ფლობს“ — ეს არის მისი მოძრაობისა და გადაადგილების არეალი: ტიპიური თავდამსხმელი მოიერიშე თვისებებით! მისი ერთ-ერთი კოზირია დიდი სისწრაფე. მას შეუძლია ბურთიანად განვლოს 50-60 მეტრი და გზადაგზა რამდენიმე მეტოქეც მოატყუოს. ამბობენ იმასაც, რომ სასტარტო სისწრაფისა და ფიზიკური მონაცემების წყალობით იგი ერთბაშად ერთი მეტრით იტოვებს უკან მოწინააღმდეგეს. იუგოსლავიასთან დანიის ნაკრების მატჩში პრებენმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე ჩაიგდო ბურთი, გადაიარა თითქმის მთელი მინდორი, მოატყუა თავისი უშუალო მეურვე იუგოსლაველი მცველი სტოიკოვიჩი, მოულოდნელად იცვალა მიმართულება, როცა ყველა მოელოდა, ეს არის და კარისაკენ დაიძრაო, გადავიდა სრულიად საწინააღმდეგო ფლანგზე, დაუტოვა ბურთი ლაუდრუპს, თვითონ კი ცენტრისაკენ გაიქცა, რათა გზაკვალი დაებნია იუგოსლაველი მცველებისათვის. ამასობაში ლაუდრუპმა ბურთი მიაწოდა ბერგგრეენს რომელმაც დააგვირგვინა ეს რთული, მრავალსვლიანი კომბინაცია.

ცხოვრებაში პრებენი გულღია, მიმდობი და გულწრფელი ადამიანია. ცოტათი უცნაურია მისი ყოველდღიური ცხოვრების წესი. უზმოზე, დილაობით, იგი ეწევა პირველ სიგარეტს, ხოლო დღის ბოლოს სიგარეტით სავსე კოლოფი უკვე ცარიელია. დანიური პრესა მას ირონიულად უწოდებს სიგარეტების მწარმოებელი ფირმების საუკეთესო მომხმარებელს. თვით პრებენს სხვაზე უკეთ ესმის, რომ სიგარეტის წევა შეუფერებელია ფეხბურთელისათვის. „ეს არის ძალიან ცუდი ჩვეულება, რომელსაც ვერაფრით მოვერიე“, ამბობს იგი. ელკიაერ-ლარსენს ეძახიან „გაუხედნავ ცხენსაც“, ალბათ მსაჯებთან დაუსრულებელი კამათისა და განუწყვეტელი დისციპლინარული სასჯელის მიღებისათვის, რაც მისთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა. ვერც ეს ამბავი აუხსნიათ: ცხოვრებაში თვინიერი ლარსენი ხშირად არღვევს სპორტულ და ეთიკურ ნორმებს. ამ აზრით, იგი არ ჩაითვლება ტიპიურ, თავდაჭერილ, აუღელვებელ და ფლეგმატურ სკანდინაველად. მისი ტემპერამენტი უფრო სამხრეთულს წააგავს. იქნებ ამიტომაც პრებენმა უკეთ უჩვენოს თავი იტალიის ცის ქვეშ.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის 47-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 31-ე კალენდარული ტურის შეხვედრათა ტექნიკური მონაცემები:

„ტორპედო“ — „ზენიტი“ 0:1 (0:0). ეს იყო მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერთა ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება წილად ხვდათ ზენიტელებს — 1:0, ერთადერთი ბურთი 89-ე წუთზე ჩუხლოვმა გაიტანა.

გააფრთხილეს ლენინგრადელი სტეპანოვი.

დუბლიორები — 3:1.

„ქაირათი“ — „დინამო“ (მინსკი) 0:1 (0:0). ალმაათელთა კარში ბურთი გაიტანა კონდრატიევმა.

გააფრთხილეს მინსკელი ფეხბურთელი მელნიკოვი.

დუბლიორები — 1:0.

ცსკა — „ჟალგირისი“ 0:2 (0:1). იაკუბაუსკასმა და დანისიავიჩუსმა 2 ბურთი გაიტანეს მოსკოველთა კარში.

დუბლიორები — 2:0.

„არარატი“ — „ჩერნომორეცი“ 3:3 (1:1). ერევნელთაგან სამივე ბურთი მხითარიანმა გაიტანა (ერთი — პენალტით), ხოლო ოდესელთაგან თავი გამოიჩინეს შჩერბაკოვმა და სახნომ (2).

დუბლიორები — 1:1.

„დნეპრი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 3:2 (2:0). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს პროტასოვმა, ტარანმა და ბაგმუტმა, ხოლო დინამოელთაგან — პუდიშევმა და გაზაევმა.

მატჩი აღინიშნა უხეშობით, ერთმანეთთან ჩხუბისთვის მინდვრიდან გააძევეს მოსკოველი ნოვიკოვი და დნეპროპეტროვსკელი ტარანი, გაფრთხილებები მიიღეს დინამოელებმა ხაპსალისმა და ბულანოვმა.

დუბლიორები — 4:1.

„შახტიორი“ — „სპარტაკი“ 1:2 (0:2). სპარტაკელთაგან ბურთები გაიტანეს რუსიაევმა და როდიონოვმა, დონეცკელთაგან — გრაჩოვმა.

დუბლიორები — 0:1.

„მეტალისტი“ — „ფახთაქორი“ 2:0 (2:0). ბურთები გაიტანეს კუზნეცოვმა და კამარზაევმა.

გააფრთხილეს ტაშკენტელი ბიკულოვი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ა. მილჩენკო, ბ. ჩერნიახოვსკი (ორივე — სოხუმი), თ. ლაცაბიძე (თბილისი).

დუბლიორები — 2:2.

„ნეფთჩი“ — „დინამო“ (კიევი) 1:0 (0:0). ბურთი 86-ე წუთზე გაიტანა ალიევმა (11-მეტრიანით).

გააფრთხილეს კიეველი იაკოვენკო და ბაქოელი ჰასანოვი.

დუბლიორები — 0:1.

გათამაშების ცხრილი
უმაღლესი ლიგა
დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 7 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი“	31	19	8	4	53-27	46
„დინ.“ კ.	31	21	3	7	53-23	45
„დინ.“ თბ.	31	17	4	10	60-39	38
„ქაირათი“	31	15	5	11	41-34	35
„ნეფთჩი“	31	14	6	11	40-35	34
ცსკა	31	12	10	9	42-31	34
„ზენიტი“	31	13	7	11	34-34	33
„დინ.“ მ.	31	12	8	11	42-35	32
„დინ.“ მნ.	31	12	8	11	45-45	32
„მეტალის.“	31	11	8	12	39-49	30
„ტორპედო“	31	12	5	14	46-48	29
„შახტიორი“	31	11	6	14	37-35	28
„ჟალგირ.“	31	11	6	14	34-46	28
„არარატი“	31	9	8	14	28-42	26
ასკ რ.	30	8	10	12	29-44	26
„ფახთაქ.“	31	7	8	16	34-55	22
„სპარტაკი“	30	6	10	14	38-51	22
„ჩერნომ.“	31	4	8	19	30-52	16

8 **ნოემბერს** გაიმართა სსრ კავშირის 47-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 2 კალენდარული მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

ალმა-ათის „ქაირათმა“ თავის მინდორზე ანგარიშით 2:1 დაამარცხა დონის როსტოვის არმიელთა გუნდი. ვილნიუსის „ჟალგირისმა“ და დონეცკის „შახტიორმა“ ფრედ ითამაშეს — 0:0.

რედაქტორი ა. გოგელია.

ჩვენი მისამართი:
[illegible] ყუთის — 380096.
თბილ. [illegible], ლენინის ქ. № 14.
[illegible] მისამართი — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-56,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 07466